ბრძანება:**ბ12. 1223080001**
თარიღი:**21/03/2023**

ქალაქ ახალციხის გენერალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა“ პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,ე'' ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 141–ე მუხლის მე–3 ნაწილის, ,,სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებისა და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის, 2023 წლის 20 მარტის N 02-1223079138 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ინიცირებულ იქნეს ქალაქ ახალციხის გენერალური გეგმის შემუშავება.
2. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემავალი სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს დაავალოს ქალაქ ახალციხის გენერალური გეგმის შემუშავების უზრუნველყოფა, დაგეგმვის საჭიროების შესაბამისად განსაზღვრული დავალების (წარმოსადგენი დოკუმენტაციის შემადგენლობის/შესრულების ვადების და სხვა პირობების) შესაბამისად.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს - ილია ზარდიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №60ა).

ილია ზარდიაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია-ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი